აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# კურიკულუმი

| | |
|---|---|
| **პროგრამის დასახელება** | სამართალი |
| **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია** | სამართლის ბაკალავრი - Bachelor of Law |
| **ფაკულტეტის დასახელება** | ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| **პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინატორი** | მამუკა შენგელია, სამართლის აკადემიური დოქტორი, პროფესორი<br>საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: 577 28 28 53;<br>ელ.ფოსტა: Mamuka.shengelia@atsu.edu.ge |
| **პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)** | 4 აკადემიური წელი; 240 ECTS კრედიტი |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;** | აკრედიტაცია: 16.09.2011; გადაწყვეტილება №17.<br>შემუშავება და განახლება: სამართლის დეპარტამენტის 19.05.2011, №5; 29.08.2011, №1; 29.02.2012, №7; 11.05.2012, №8; 15.04.2016, №5; 30.06.2017,№8; 22.03.2019 №5 ოქმები;<br>ფაკულტეტის საბჭოს 31.05.2011, №17; 25.05.2012, №13; 15.02.2013, №6; 05.05.2015, №7; 5.09.2017,№1; 26.03.2019 №13 ოქმების ამონაწერები;<br>აკადემიური საბჭოს 31.08.2011, №1 (11/12); 5.09.2012,№4 (12/13); 29.05.2013, №99 (12/13); 28.05.2015, №68 (14/15); 15.09.2017, №1 (17/18); 12.09.2019, №2 (19/20) დადგენილებები. |

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)**

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების უფლებით სარგებლობენ ერთიანი ეროვნული გამოცდების წესით ჩარიცხული აბიტურიენტები. ასევე სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა შიდა და გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**პროგრამის მიზნები.**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებზე დაფუძნებული სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე საქმიანობის სფეროს ფართო მცოდნე, კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაზე მოტივირებული, რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენებით შედეგზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება;

თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების სწავლებაზე, პროფესიულ ეთიკაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ღირებულებების განვითარებით, იურისტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

**სწავლის შედეგები**

| | |
|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს:<br>1.1 დაასახელოს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებები, ინსტიტუტები, მატერიალური და პროცესუალური ნორმები; |

| | |
|---|---|
| | 1.2 აღწეროს საერთაშორისო სამართლისა და უცხოური სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებები. |
| **უნარები** | პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:<br>2.1 სამართლებრივი პრობლემების გადასაწყვეტად სამართლის ყველა შესაბამისი წყაროს მოძიება, განმარტება და გამოყენება;<br>2.2 დებატებში ჩართვისას, განსხვავებული აზრის გაგებისა და სამართლებრივი საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთება;<br>2.3 სამართლებრივი პრობლემების მრავალმხრივი ხედვა და მათი კრიტიკული ანალიზი;<br>2.4 სამართლებრივი დებულებებისა და დოკუმენტაციის მომზადება;<br>2.5 ზეპირი და წერილობითი ფორმით ცოდნის დამაჯერებლად და დასაბუთებულად ჩამოყალიბება. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** | პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს:<br>3.1 საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეების მიდევნებას და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიულ განვითარებას;<br>3.2 პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას და დემოკრატიულ ფასეულობებთან შესაბამისობას. |

**სწავლების მეთოდები**

**სოკრატეს მეთოდი** - კრიტიკული აზროვნების უნარის განსავითარებლად დისკუსიაში სტუდენტთა დიდი ჯგუფის ჩართვა; საკუთარ და სხვა პირთა არგუმენტებზე კრიტიკული ხედვის უნარის განვითარება; ყოველდღიური მეცადინეობისათვის წინასწარი გაფრთხილების გარეშე სტუდენტთა გამოძახება; საკითხების აქტიურ განხილვაში მონაწილეობის მოულოდნელობის ეფექტი.

**დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

**ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

**გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის

ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**როლური და სიტუაციური თამაშები** – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

**დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

**ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

**ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.**

**წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

**ლაბორატორიული მეთოდი** გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალისა დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

**პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

**ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის

ფარგლებში.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

## პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები- 20 ECTS კრედიტი;
სავალდებულო საბაზისო იურიდიული მოდულები- 105 ECTS კრედიტი;
სპეციალიზაციის არჩევითი მოდულები- 60 ECTS კრედიტი;
ინდივიდუალური პროფილის კურსები-30 ECTS კრედიტი;
არჩევითი კურსები-25 ECTS კრედიტი;
**სულ- 240ECTS კრედიტი**
**სასწავლო გეგმა იხ.დანართის 1 სახით.**

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:**
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:
**სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში** *(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)* **-30 ქულა;**
**შუალედური გამოცდა- 30 ქულა;**
**დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.**
დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს **არანაკლებ 18 ქულას.**
**შეფასების სისტემა უშვებს:**
ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (**B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (**C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
**ა.ე) (E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**
**ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
**ბ.ბ) (F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის **შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში** (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).

- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
- თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა
- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული **შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.**
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

***შენიშვნა:*** შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით:

| |
|---|
| ***საფუძველი:*** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის 15 სექტემბრის №1 (17/18) დადგენილება. |
| **დასაქმების სფეროები** |
| ნებისმიერი თანამდებობა, სადაც ბაკალავრს არ მოეთხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ამავე დროს, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამებზე. კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს: საჯარო დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კერძო სექტორში, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში. ამასთან, ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი წინაპირობები. |
| **სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები** |
| ა) 1 - პროფესორი; 13 - ასოცირებული პროფესორი; 1 - ასისტენტ პროფესორი; 15 - ხელშეკრულებით, მათ შორის 5 სამართლის დოქტორი; 28 სპეციალისტი, მათ შორის 4 - მასწავლებელი; 14 -სამართლის დოქტორანტი. |

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სასწავლო გეგმა 2019-2020 წ.წ**
**პროგრამის დასახელება:** სამართალი
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law)

| № | კურსის დასახელება | ს/კ/ **კურსის კოდი** | კრ | დატვირთვის მოცულობა, სთ-ში | | | | ლ/ლ/პრ | სემესტრი | | | | | | | | დაშვების წინაპირობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | საკონტაქტო | | დამ | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | |
| | | | | | აუდიტორიული | შუალედ.დასკვნითი გამოცდები | | | | | | | | | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 1 | **საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები** | | | | | | | | | | | | | | | | |
| I.1 | უცხო ენა I | **4** HEB0390, 0870,113, 0520 | 5 | 125 | 60 | 3 | 62 | 0/0/4 | X | | | | | | | | |
| I.2 | უცხო ენა II | **4** HEB0530, 0890,1140, 0530 | 5 | 125 | 60 | 3 | 62 | 0/0/4 | | X | | | | | | | 1.1 |
| I.3 | უცხო ენა III | **4** HEB1540, 1050,1150 0590 | 5 | 125 | 60 | 3 | 62 | 0/0/4 | | | X | | | | | | 1.2 |
| I.4 | უცხო ენა IV | **4** HEB0550, | 5 | 125 | 60 | 3 | 62 | 0/0/4 | | | | X | | | | | 1.3 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1160,0920, 0600 | | | | | | | | | | | | | | | |
| **სულ** | | | **20** | **500** | **240** | **12** | **240** | **0/0/16** | | | | | | | | | |
| **2** | **სავალდებულო საბაზისო იურიდიული მოდულები** | | | | | | | | | | | | | | | | |
| **2.1** | **კერძო სამართალი** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.1.1 | შესავალი სამოქალაქო სამართალში | 3 SLB0610 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | X | | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 2.1.2 | სანივთო სამართალი | 3 SLB0450 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | X | | | | | | | 2.1.1 |
| 2.1.3 | ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი | 3 SLB0130 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | X | | | | | | | 2.1.1 |
| 2.1.4 | სახელშეკრულებო სამართალი | 3 SLB0140 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | X | | | | | | 2.1.3 |
| 2.1.5 | კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები | 2 SLB0570 | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/0/1 | | | X | | | | | | 2.1.3 |
| 2.1.6 | საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალი | 3 SLB0460 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | | X | | | | | 2.1.1 |
| 2.1.7 | სამოქალაქო სამართლის პროცესი | 4 SLB0420 | 5 | 125 | 60 | 3 | 62 | 2/0/2 | | | | X | | | | | 2.1.1 |
| 2.1.8 | საკორპორაციო სამართალი | 3 SLB0410 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | | | X | | | | წინაპირობის გარეშე |
| 2.1.9 | შრომის სამართალი | 3 SLB0620 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | | | X | | | | წინაპირობის გარეშე |
| **სულ:** | | | **45** | **1125** | **375** | **27** | **723** | **16/0/9** | | | | | | | | | |
| 2.2 | **საჯარო სამართალი** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.2.1 | კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის სამართალი) | 4 SLB0180 | 5 | 125 | 60 | 3 | 62 | 2/0/2 | X | | | | | | | | წინაპირობის გარეშე |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.2.2 | ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები | 3 SLB0020 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | X | | | | | | | 2.2.1 |
| 2.2.3 | ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი | 3 SLB0150 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/01 | | | X | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 2.2.4 | საერთაშორისო საჯარო სამართალი | 3 SLB0330 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/01 | | | | X | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 2.2.5 | მუნიციპალური სამართალი | 3 SLB0030 | **5** | 125 | 45 | 3 | 77 | 2/01 | | | | | X | | | | 2.2.1 |
| 2.2.6 | ადმინისტრაციული სამართლის პროცესი | 3 SLB0060 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | | | X | | | | 2.2.3 |
| | **სულ** | | **30** | **750** | **270** | **18** | **462** | **12/0/6** | | | | | | | | | |
| **2.3** | **სისხლის სამართალი** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.3.1 | სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი | 3 SLB0530 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | X | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 2.3.2 | სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები) | 4 SLB0220 | **5** | 125 | 60 | 3 | 62 | 2/0/2 | | | X | | | | | | 2.3.1 |
| 2.3.3 | სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II (დანაშაულის სხვა სახეები) | 4 SLB0540 | **5** | 125 | 60 | 3 | 62 | 2/0/2 | | | | X | | | | | 2.3.2 |
| 2.3.4 | სისხლის სამართლის პროცესი | 4 SLB0560 | **5** | 125 | 60 | 3 | 62 | 2/0/2 | | | | | X | | | | 2.3.3 |
| | **სულ** | | **20** | **500** | **180** | **12** | **308** | **8/0/4** | | | | | | | | | |
| **2.4** | **სამართლის საფუძვლები** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.4.1 | შესავალი სამართალმცოდნეობაში | 3 SLB0600 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | X | | | | | | | | წინაპიროზის გარეშე |
| 2.4.2 | ქართული სამართლის ისტორია | 3 SLB0590 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/01 | X | | | | | | | | წინაპიროზის გარეშე |
| | **სულ** | | **10** | **250** | **90** | **6** | **154** | **4/0/2** | | | | | | | | | |
| **3** | **სპეციალიზაციის არჩევითი მოდულები** | | | | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **3.1** | **კერძო სამართალი** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3.1.1 | დაზღვევის სამართალი | 3<br>SLB0091 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | X | | | 2.1.4 |
| 3.1.2 | ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა | 3<br>SLB0581 | 5 | 125 | 30 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | X | | | წინაპირობის გარეშე |
| 3.13 | საბანკო სამართალი | 3<br>SLB0291 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | X | | | წინაპირობის გარეშე |
| 3.1.4 | გაკოტრების სამართალი | 3<br>SLB0070 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | X | | | წინაპირობის გარეშე |
| 3.1.5 | სანოტარო სამართალი | 3<br>SLB0430 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | X | | წინაპირობის გარეშე |
| 3.1.6 | სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში | 3<br>SLB0711 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | X | | 2.1.7 |
| 3.1.7 | სამართლებრივი მართლწერა | 3<br>SLB0550 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | X | | წინაპირობის გარეშე |
| 3.1.8 | ინტელექტუალური საკუთრების სამართალი | 3<br>SLB0271 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | | | | | X | | 2.1.1 |
| 3.1.9 | კერძო დავების გადაწყვეტა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში | 3<br>SLB0171 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | | X | 2.1.7 |
| 3.1.10 | სასამართლო უნარ-ჩვევები | 3<br>SLB2121 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | | X | წინაპირობის გარეშე |
| 3.1.11 | საადვოკატო უნარ-ჩვევები | 3<br>SLB0101 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | | X | წინაპირობის გარეშე |
| 3.1.12 | სამართლებრივი ეთიკა | 3<br>SLB0380 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | | X | წინაპირობის გარეშე |
| 3.1.13 | საარბიტრაჟო სამართალი | 3<br>SLB0389 | 5 | 125 | 45 | 3 | 92 | 1/0/2 | | | | | | | | X | წინაპირობის გარეშე |
| | **სულ** | | **60** | **1500** | **420** | **36** | **625** | **3/0/26** | | | | | | | | | |
| **3.2** | **საჯარო სამართალი** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3.2.1 | საპარლამენტო სამართალი | 3<br>SLB0170 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | | | | X | | | 2.2.1 |
| 3.2.2 | საერთაშორისო | 3 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | X | | | 2.2.4 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ჰუმანიტარული სამართალი | SLB0361 | | | | | | | | | | | | | | | |
| 3.2.3 | საფინანსო სამართალი | 3 SLB0321 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | | | | X | | | წინაპირობის გარეშე |
| 3.2.4 | საარჩევნო სამართალი | 3 SLB0280 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | X | | | 2.2.1 |
| 3.2.5 | სამოხელეო სამართალი | 3 SLB0722 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | X | | 2.2.1 |
| 3.2.6 | სააღსრულებო სამართალი | 3 SLB0480 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | X | | წინაპირობის გარეშე |
| 3.2.7 | სამართლებრივი მართლწერა | 3 SLB0550 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | X | | წინაპირობის გარეშე |
| 3.2.8 | გარემოს დაცვის სამართალი | 3 SLB0120 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | | | | | X | | წინაპირობის გარეშე |
| 3.2.9 | საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი | 3 SLB0390 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | | | | | | X | წინაპირობის გარეშე |
| 3.2.10 | სასამართლო უნარ-ჩვევები | 3 SLB2121 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | | X | წინაპირობის გარეშე |
| 3.2.11 | საადვოკატო უნარ-ჩვევები | 3 SLB0101 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | | X | წინაპირობის გარეშე |
| 3.2.12 | სამართლებრივი ეთიკა | 3 SLB0380 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | | X | წინაპირობის გარეშე |
| 3.2.13 | კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამართალი | 3 SLB0455 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | | | | | | X | წინაპირობის გარეშე |
| **სულ:** | | | **60** | **1500** | **450** | **36** | **1014** | **9/0/20** | | | | | | | | | |
| **3.3** | **სისხლის სამართალი (60 კრედიტი)** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3.3.1 | კრიმინოლოგია | 3 SLB0200 | 5 | 125 | 45 | 3 | 92 | 1/0/2 | | | | | | X | | | წინაპირობის გარეშე |
| 3.3.2 | ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია | 3 SLB0110 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | X | | | 2.3.1 |
| 3.3.3 | კრიმინალისტიკა | 3 SLB0190 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/1/0 | | | | | | X | | | წინაპირობის გარეშე |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.3.4 | თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე | **3** SLB0040 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | X | | | წინაპირობის გარეშე |
| 3.3.5 | გამოძიებისა და სასამართლო წარმოების საფუძვლები | **3** SLB0361 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | X | | 2.3.4 |
| 3.3.6 | მტკიცებითი სამართალი | **3** SLB0470 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | X | | 2.3.4 |
| 3.3.7 | სამართლებრივი მართლწერა | **3** SLB0550 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | X | | წინაპირობის გარეშე |
| 3.3.8 | სასჯელაღსრულებითი სამართალი | **3** SLB0470 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | | | | | X | | წინაპირობის გარეშე |
| 3.3.9 | სისხლისსამართალწარმოება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში | **2** SLB0100 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | | X | 2.3.4 |
| 3.3.10 | სასამართლო უნარ-ჩვევები | **3** SLB2121 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | | X | წინაპირობის გარეშე |
| 3.3.11 | საადვოკატო უნარ-ჩვევები | **3** SLB0101 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | | X | წინაპირობის გარეშე |
| 3.3.12 | სამართლებრივი ეთიკა | **3** SLB0380 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | | X | წინაპირობის გარეშე |
| 3.3.13 | საპროკურორო სამართალი | 3 SLB0383 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | | | | X | 2.3.4 |
| **სულ** | | | **60** | **1500** | **435** | **36** | **1029** | **6/1/22** | | | | | | | | | |
| **4** | **არჩევითი კურსები**** | | | | | | | | | | | | | | | | |
| **4.1** | **არჩევითი კურსი - 1** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4.1.1 | საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია | **3** SLB0401 | **5** | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | X | | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 4.1.2 | ლათინური ენა | **3** HAB0311 | **5** | 125 | 45 | 3 | 77 | 0/0/3 | X | | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 4.1.3 | პოლიტოლოგია | **3** SWB0241 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | X | | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| **4.2.** | **არჩევითი კურსი - 2** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4.2.1 | რომის კერძო სამართალი | 2 SLB0261 | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/0/1 | | X | | | | | | | წინაპირობის |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | გარეშე |
| 4.2.2 | ლოგიკა | 2<br>SFB0151 | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/0/1 | | X | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 4.2.3 | მეორე უცხო ენა 1 | 4 | 5 | 125 | 60 | 3 | 62 | 0/0/4 | | X | | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| **4.3** | არჩევითი კურსი - 3 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4.3.1 | შესავალი სამართლის ფილოსოფიაში | 3<br>SLB0701 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | X | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 4.3.2 | საქართველოს ისტორია | 3<br>SHB0081 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | X | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 4.3.3 | იურიდიული ფსიქოლოგია | 2<br>SFB0121 | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/0/1 | | | X | | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 4.3.4 | მეორე უცხო ენა 2 | 4 | 5 | 125 | 60 | 3 | 62 | 0/0/4 | | | X | | | | | | მეორე უცხო ენა 1 |
| **4.4** | არჩევითი კურსი - 4 | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4.4.1 | მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი | 2<br>SLB0241 | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/0/1 | | | | X | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 4.4.2 | საერთაშორისო კერძო სამართალი | 2<br>SLB0311 | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/0/1 | | | | X | | | | | წინაპირობის გარეშე |
| 4.4.3 | მეორე უცხო ენა 3 | 4 | 5 | 125 | 60 | 3 | 62 | 0/0/4 | | | | X | | | | | მეორე უცხო ენა 2 |
| **4.5** | **არჩევითი კურსი - 5** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4.5.1 | საერთაშორისო სისხლის სამართალი | 3<br>SLB0011 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | X | | | | წინაპირობის გარეშე |
| 4.5.2 | საგადასახადო სამართალი | 3<br>SLB0300 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 2/0/1 | | | | | X | | | | წინაპირობის გარეშე |
| 4.5.3 | ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი | SLB0011 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/0/2 | | | | | X | | | | წინაპირობის გარეშე |
| **სულ:** | | | **80** | **2000** | **660** | **48** | **1262** | **16/0/25** | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები | | 20 | 5 | 5 | 5 | 5 | | | | | |
| სავალდებულო საბაზისო იურიდიული მოდულები | კერძო სამართალი | 45 | 5 | 10 | 10 | 10 | 10 | | | | |
| | საჯარო სამართალი | 30 | 5 | 5 | 5 | 5 | 10 | | | | |
| | სისხლის სამართალი | 20 | | 5 | 5 | 5 | 5 | | | | |
| | სამართლის საფუძვლები | 10 | 10 | | | | | | | | |
| სპეციალიზაციის მოდულების კურსები | კერძო სამართალი | 60 | | | | | | 20 | 20 | 25 | |
| | საჯარო სამართალი | 60 | | | | | | 20 | 20 | 25 | |
| | სისხლის სამართალი | 60 | | | | | | 20 | 20 | 25 | |
| ინდივიდუალური პროფილის კურსები | | 30 | | | | | | 10 | 10 | 5 | |
| არჩევითი კურსები | | 25 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | | | | |
| სულ | | 240 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | |

- სტუდენტი I,II.III.IV,V სემესტრებში არჩევითი კურსებიდან ირჩევს მხოლოდ ერთ კურსს;
- სტუდენტი VI სემესტრში ირჩევს მხოლოდ ერთ სპეციალიზაციის მოდულს და არჩეული მიმართულებით სწავლას ახორციელებს VII,VIII სემესტრშიც;
- სტუდენტი VI და VII სემესტრებში არჩეული სპეციალიზაციის მოდულების კურსების გარდა (სემესტრში სავალდებულო 20 კრედიტი), თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, ამავე სემესტრებში სავალდებულო 10 კრედიტის მოცულობით (სულ 30 კრედიტი) ახდენს ინდივიდუალური პროფილის ფორმირებას სხვადასხვა სპეციალიზაციის მოდულების *(კერძო სამართალი, საჯარო სამართალი, სისხლის სამართალი)* კურსების კონცენტრაციით;
- სტუდენტი VIII სემესტრში არჩეული სპეციალიზაციის მოდულების კურსების გარდა (სემესტრში სავალდებულო 25 კრედიტი), თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, ამავე სემესტრებში სავალდებულო 5 კრედიტის მოცულობით (სულ 30 კრედიტი) ახდენს ინდივიდუალური პროფილის ფორმირებას სხვადასხვა სპეციალიზაციის მოდულების *(კერძო სამართალი, საჯარო სამართალი, სისხლის სამართალი)* კურსების კონცენტრაციით;
- VI,VII და VIII სემესტრებში სტუდენტთა შერჩევის საფუძველზე ხორციელდება იურიდიული კლინიკური განათლების პრაქტიკული კომპონენტი დამატებითი 10 კრედიტის მოცულობით ამერიკის იურისტთა ასოციაციის ინიციატივით, თანამშრომლობით და დახმარებით დაარსებულ სამართლის დეპარტამენტის იურიდიულ კლინიკაში.